დადგენილება:**დ-47. 47240592**
თარიღი:**28/02/2024**

დადგენილება N2

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილების (www.matsne.gov.ge 26/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.113.016509) დანართში:

დადგენილების დანართის მე-18 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარს მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი